ოქმი:**ო03. 3724361001**

თარიღი:**26/12/2024**

ოქმი № 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2024 წელი, 25 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

16.00- 16.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი-კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. ბიგვავა, ბ. თოიძე, ტ. აროშიძე, გ. მდინარაძე, ნ, ქარჩავა, მ. ვაშალომიძე, ბ. მელუა.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ცვლილებებისა და დამატებების პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებით, დამატებითი შემოსავლის გამო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იზრდება 80 მილიონ 640760 ათასი ლარით. თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ დაასახელა კონკრეტულად იმ შემოსავლის სახეობები და რაოდენობა, რომელიც დამატებით იქნა შემოსული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და რამაც განაპირობა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. მანვე კომისიის წევრებს გააცნო ამ დამატებითი შემოსავლების მუხლებში, პროგრამებსა და ქვეპროგრამებში გადანაწილების თაობაზე ინფორმაცია. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით. კომისიის წვრებმა მოიწონეს კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა დადგენილების პროექტზე.

გადაწყვიტეს;

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი